ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ # 43

ქ. თბილისი 22 მაისი 2017 წელი

ერთის მხრივ – სსიპ პროფესიული კოლეჯი თეთნულდი (მისამართი: მესტია, ერეკლე ფარჯიანის ქ №25) და მეორეს მხრივ – შპს "ია+ჯგუფი", წარმოდგენილი მისი დირექტორის, რამინი ვადაჭკორიას (ქ.ბთილისი, აკ.ბელიაშვილის ქუჩა №73)(„მიმწოდებელი"), ადასტურებენ, რომ მათ შორის მიღწეულია შეთანხმება შემდეგზე:

1. **ხელშეკრულების ობიექტი**

1.1. ხელშეკრულების ობიექტს წარმოადგენს: „ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულების პროგრამებში სწავლების ერთიანი მოდელის დანერგვა საქართველოს რეგიონებში და მათ ბაზაზე საერთაშორისო სერთიფიცირებული კურსების დაფუძნება" პროექტის ფარგლებში CPV55300000- რესტორნებისა და კვების საწარმოების მომსახურეობები, კერძოდ:

- რესტორნის მომსახურება 15 პერსონაზე საერთო ღირებულებით 343,28 ლარი.

1.2. შესყიდვის განხორციელების საშუალება – გამარტივებული შესყიდვა (წარმომადგენლობითი ხარჯი).

2. **ხელშეკრულების ფასი**

2.1. ხელშეკრულების ფასი შეადგენს: 343,28 ლარს
2.2. ხელშეკრულების ფასი საბოლოოა და ითვალისწინებს მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯებს და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

3. **ხელშეკრულების შესრულების კონტროლი**

3.1 მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლსა და ზედამხედველობაზე უფლებამოსილია შემსყიდველი მხარე. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს განახორციელებს და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი პირი იქნება შემსყიდველის მხრიდან – ამავე კოლეჯის „ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულების პროგრამებში სწავლების ერთიანი მოდელის დანერგვა საქართველოს რეგიონებში და მათ ბაზაზე საერთაშორისო სერთიფიცირებული კურსების დაფუძნება" პროექტის მენეჯერი ზაზა ცირამუა.
3.2. მიმწოდებელი პასუხისმგებელია გაწეული მომსახურების ხარისხზე.

4. **მომსახურების გაწევის ვადა**

4.1. მომსახურების გაწევის ვადა – 2017 წლის 22 მაისი .

5. **ანგარიშსწორების ფორმა, ვადები და პირობები**

5.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში,
5.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მომსახურების გაწევის შემდეგ, მხარეთა შორის შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან 20 სამუშაო დღის განმავლობაში.

6. უფლებების გადაცემა

6.1. მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობები.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა

7.1 ფორსმაჟორული გარემოებების გარდა, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის მხარეებს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.
7.2 ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მიმწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლო შესასრულებელი ვალდებულების ღირებულების 10%-ის ოდენობით.

8. ფორს-მაჟორი

8.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
8.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
8.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

9. დავების გადაწყვეტა

9.1. მხარეთა შორის სადაო საკითხი წყდება მოლაპარაკების გზით. 30 დღის განმავლობაში შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საკითხი განიხილება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 1 დეკემბრამდე

11. სხვა პირობები

11.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ერთი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
11.2. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
სსიპ პროფესიული კოლეჯი თეთნულდი	შპს „ია+ჯგუფი“
მის: მესტია, ერეკლე ფარჯიანის ქ. #25.	მის: ქ.ბთილისი, აკ.ბელიაშვილის ქუჩა #73
სახელმწიფო ხაზინა	სს “კორ სტანდარტ ბანკი”
ბანკის კოდი TRESGE22	ბ/კ: KSBGGE22
ა/ა GE24NB0330100200165022 ს.კ. 235891512	ა/ა GE61KB0000000360204272/GEL ს.კ. 401975332
დირექტორი ი. ჯაფარიძე	დირექტორი /რ.ვადაჩკორია/

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

2017 წლის 22 მაისი

ვადასტურებ, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანამხად, რესტორნის მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებით გასაფორმებელ ხელშეკრულებაში, შპს „ია+ჯგუფი“-სთან ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფები.

სსიპ პროფესიული კოლეჯი თეთნულდის

დირექტორი - ი.ჯაფარიძე

„ინფორმაციული ტექნოლოგიების სწავლების ერთიანი მოდელის

დანერგვა საქართველოს რეგიონებში და მათ ბაზაზე

საერთაშორისო სერტიფიცირებული პროგრამების დაფუძნება“

პროექტის მენეჯერი - ზ. ცირამუა